საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-69.69222138**
თარიღი:**01/08/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად 16 ცალი ელექტრო საყრდენის (ბოძის) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო 5 (ხუთი) წლის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“- სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ქვეპუნქტისა და 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, გადაცეს **სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“- ს** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე 16 ცალი ელექტრო საყრდენების (ბოძების) ის ნაწილი, რაც ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლადაა საჭირო, 5(ხუთი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სასყიდლით, შემდეგი ობიექტები:

1. წერეთლის ქუჩა N 25-ზე არსებული ხაზობრივი ნაგებობის სიგრძე 235 მ. და 95 მ. წერტილოვანი ობიექტი -12 ც. (საკადასტრო კოდი: 36.00.157).
2. სოლომონ მეფის ქუჩაზე N4-ზე არსებული ხაზობრივი ნაგებობის სიგრძე 20.55 მ. წერტილოვანი ობიექტი -1 ც. (საკადასტრო კოდი: 36.00.158).
3. სოლომონ მეფის ქუჩაზე N27-ზე არსებული ხაზობრივი ნაგებობის სიგრძე 80 მ. წერტილოვანი ობიექტი -3 ც. (საკადასტრო კოდი: 36.00.158).

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი